მოდელური კანონი ცილისწამების შესახებ საქართველოსათვის,

შემუშავებული

“მე-19 მუხლის”

მიერ

აზრის თავისუფალი გამოხატვის გლობალური კამპანია

2004 წლის თებერვალი

მედიის თავისუფლების სფეროში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლის დაკვეთით

შესავალი

2004 წლის თებერვლის დასაწყისში "მე-19 მუხლმა", საქართველოს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლებრივი კანონების ანალიზის საფუძველზე გამოსცა მემორანდუმი, რომელიც შეეხება ცილისწამების პრობლემას[1]. "მე-19 მუხლს" მიაჩნია, რომ ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი კანონი, რომელიც ცილისწამებას შეეხება, წარმოადგენს ადამიანის უფლების დარღვევას აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. "მე-19 მუხლს" მიაჩნია, რომ ცილისწამების შესახებ საქართველოში მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი კანონები რეპუტაციის ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, ჩვენი რეკომენდაციაა, გაუქმდეს ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მუხლი. ჩვენი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა რამდენიმე სერიოზული პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ცილისწამების შესახებ სამოქალაქო კოდექსში არსებულ ერთადერთ დებულებასთან. ცილისწამება სამართლის საკმაოდ ფართო სფეროა და მისი ერთი დებულებით რეგულირება ყოვლად გაუმართლებელია.

ჩვენს ანალიზში ავსახეთ უფრო სერიოზული პრობლემებიც, რომლებიც ცილისწამების შესახებ სამოქალაქო სამართლებრივ დებულებასთანაა დაკავშირებული. აღმოჩნდა, რომ ამ დებულების თანახმად სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ ცილისწამების თაობაზე საქმის ინიცირება სასამართლოში; იგი ვერ უზრუნველყოფს მოსაზრებათა დაცვას ცილისმწამებლური შეფასებისგან; მტკიცების ტვირთი შეუსაბამოა ისეთ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს უკავშირდება; ვერ იცავს განსაზღვრული ტიპის განცხადებებს ცილისმწამებლური შეფასებისგან; აწესებს დაცვის არაადეკვატურ საშუალებებს ცილისწამების საწინააღმდეგოდ; ვერ უზრუნველყოფს სათანადო ზღვარის დაწესებას ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სანქციების გამოყენებისთვის.

იმ ორგანოთა დახმარების მიზნით, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები, ჩვენ შევიმუშავეთ ცილისწამების მოდელური კანონი. იგი ითვალიწინებს ყველა იმ შენიშვნას, რაც გამოვთქვით არსებულ კანონებთან დაკავშირებით. ეს შენიშვნები ჩამოყალიბებულია სამართლებრივ ფორმაში. შევეცადეთ, რომ პროექტის შემუშავებისას ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის, თავისუფლების ინსტიტუტის[2], დახმარებით გაგვეთვალისწინებინა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა. აღნიშნული მოდელური კანონი ასევე ითვალისწინებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას განსაკუთრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სფეროში. კერძოდ – ცდილობს დააწესოს კომპენსაციის ალტერნატიული საშუალებები და აღმოფხვრას ანაზღაურების ოდენობის გაზრდის ტენდენცია.

---

[1] შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტში მისამართზე: http://www.osce.org/

[2] თუმცა ამ პროექტში გამოყენებულ სტანდარტზე პასუხისმგებელია მე-19 მუხლი.

კანონი ცილისწამების შესახებ, 2004

საქართველო

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

კანონის მიზანია უზრუნველყოს, რომ ცილისწამების მარეგულირებელი წესებით გაუმართლებლად არ შეიზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება, კერძოდ კი საზოგადოებრივი მნიშვნელობის პუბლიკაციები და დებატები და დააწესოს ცილისწამების გზით რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ეფექტური საშუალებები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის:

1. „ცილისმწამებლური განცხადება“ არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება, რომელიც ლახავს პიროვნების იმ პატივსა და ღირსებას, რომლითაც იგი სარგებლობს საზოგადოებაში.
2. „საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები“ მოიცავს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის, ხელისუფლების ყველა შტოს, პოლიტიკოსებს, საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ წესრიგსა და მართლმსაჯულების განხორციელებას, მომხმარებელთა და სოციალურ ინტერესებს, გარემოს, ეკონომიკურ საკითხებს, ძალის გამოყენებას, ხელოვნებასა და კულტურას, ასევე საზოგადოებრივ მოღვაწეებთან და თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ საკითხებს.
3. „მოსაზრება“ არის განცხადება, რომელიც არ შეიცავს ფაქტებზე დაფუძნებულ ქვეტექსტს, ასევე არ შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც გარკვეული ფაქტების მტკიცება, მათ შორის გამოყენებული ლექსიკიდან (რიტორიკა, ჰიპერბოლა, სატირა და ა.შ.) გამომდინარე.
4. „თანამდებობის პირი“ არის ყველა, ვინც არჩეულია ან დანიშნულია სახელმწიფო დაწესებულებაში, მუშაობს ხელისუფლების ნებისმიერ შტოში ან სხვა ორგანოში, ასრულებს სახელმწიფო ფუნქციებს როგორც თანამშრომლის, ისე სხვა ნებისმიერი სტატუსით.
5. „გამოქვეყნება“ გულისხმობს განცხადების გავრცელებას ერთი ან მეტი პირისათვის იმ პირის გამოკლებით, ვის მიმართაც არის ცილისმწამელური განცხადება გაკეთებული.

მუხლი 3. კანონის ინტერპრეტაცია

ამ კანონის ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს იმ გარანტიების შესაბამისად, რომლებიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

მუხლი 4. სასამართლო გარანტიები

1. ამ კანონის დებულებათა სუბიექტს, ყველა ფიზიკურ თუ იურიდიული პირს, რომლის მიმართაც გამოქვეყნდა ცილისმწამებლური განცხადება, უფლება აქვს, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, ვინც გააკეთა ან გამოაქვეყნა აღნიშნული განცხადება.
2. ქვემოთ ჩამოთვლილ პირებსა და ობიექტებს არა აქვთ უფლება, ინიცირება გაუკეთონ ცილისწამების თაობაზე სასამართლო პროცესს:
   ა) გარდაცვლილ პირებს;

ბ) უსულო ობიექტებს, მათ შორის რელიგიურ სიმბოლიკას, დროშას ან ეროვნულ ინსიგნიებს;
გ) სახელმწიფოს;
დ) პარლამენტს, სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ სასამართლო ხელისუფლების არც ერთ ორგანოს;
ე) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს;

მუხლი 5. პროცესუალური გარანტიები

1. ცილისწამების საქმეზე სასამართლო პროცესის ინიცირება შესაძლებელია ცილისმწამებლური განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში.
2. იმ პუბლიკაციისთვის, რომელიც განგრძობით საფუძველზე იქნა გამოქვეყნებული, მათ შორის ინტერნეტში, ვებ-გვერდების მიერ, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა განცხადება პირველად გამოქვეყნდა შესაბამისი ფორმით.

მუხლი 6. უსაფუძვლო სარჩელის უარყოფა დაჩქარებული წესით

1. მოპასუხეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დაჩქარებული წესით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, თუკი მოსარჩელე ვერ შეძლებს დასაბუთებული მტკიცებულების წარმოდგენას.
2. მოსარჩელეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, როცა ნათელია, რომ განცხადება გააკეთა მოპასუხემ, გაკეთებული განცხადება ცილისმწამებლურია და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ დაცვას პროცესზე წარმატების გონივრული პერსპექტივა არ გააჩნია, და თუ არ არსებობს საქმის არსებითი განხილვის სხვა საფუძველი.

მუხლი 7. გონივრული ეჭვი

1. თუკი არსებობს გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, განცხადება მოსაზრებას წარმოადგენს თუ ფაქტის მტკიცებას, განცხადება უნდა განიმარტოს, როგორც მოსაზრება.
2. თუკი არსებობს გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება, იგი უნდა განიმარტოს, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობისა.

მუხლი 8. ინფორმაციის წყაროს დაცვა

1. მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროს გამხელა.
2. დაუშვებელია, რომ მოპასუხის უარი, გაამხილოს ინფორმაციის კონფიდენციალური წყარო, გამოყენებულ იქნეს მოპასუხის ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

თავი 2. დაცვა

მუხლი 9. სიმართლის მტკიცება

1. მოპასუხე თავისუფლდება ყველა სახის პასუხიმგებლობისგან, თუკი აღმოჩნდება, რომ გასაჩივრებული განცხადება არსებითად სიმართლეს შეეფერება.
2. თუკი გასაჩივრებული განცხადება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხს შეეხება, განცხადებით მტკიცებადი ფაქტი ჩაითვლება სიმართლედ, თუ ან ვიდრე მოსარჩელე საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს.

მუხლი 10. დასაბუთებული პუბლიკაცია

აზრის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე და საზოგადოების უფლების – მიიღოს დროული ინფორმაცია საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე – პატივისცემის საფუძველზე პირს არ დაეკისრება პასუხიმგებლობა

ცილისწამებისთვის, თუკი მასალის გავრცელებისთვის ჰქონდა ყოველმხრივ დასაბუთებული საფუძველი.

მუხლი 11. მოსაზრება

დაუშვებელია გამოთქმული მოსაზრებისთვის პასუხიმგებლობის დაკისრება ცილისწამების შესახებ კანონის საფუძველზე.

მუხლი 12. აბსოლუტური პრივილეგია

ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებისთვის პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ცილისწამების კანონის საფუძველზე:

?) განცხადება, გაკეთებული საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის პროცესში როგორც არჩეული დეპუტატების მიერ კომიტეტებსა და ღია დებატებში, ისე იმ პირთა მიერ, რომლებიც მოწმის სტატუსით იყვნენ მიწვეული კომიტეტებში ჩვენების მისაცემად;

?) განცხადება, გაკეთებული მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის პროცესში ამ ორგანოების წევრების მიერ:

?) განცხადება, გაკეთებული სასამართლოში საქმის წარმოების ყველა სტადიაზე საქმის წინასწარი მოსმენის ჩათვლით, საქმის წარმოებაში უშუალოდ მონაწილე პირთა (მოსამართლე, მხარეები, მოწმე, ადვოკატი, ნაფიცი მსაჯული) მიერ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაკეთებული განცხადება საერთოდ არ უკავშირდება მიმდინარე სასამართლო პროცესს:

?) განცხადება, გაკეთებული სახალხო დამცველის წინაშე;

?) საკანონმდებლო ორგანოს განკარგულებით გამოქვეყნებელი ნებისმიერი დოკუმენტი;

?) საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ კონფერენციის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რომლის მიზანი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა.

?) სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებელი ნებისმიერი ორგანოს, მათ შორის პოლიციის, განცხადება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

?) ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ამ მუხლის ა) და ბ) პუნქტებით განსაზღვრული მასალების თაობაზე.

?) ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ნებისმიერი მასალის თაობაზე, რომელსაც ოფიციალური დოკუმენტი შეიცავს და რომლის ოფიციალური სტატუსი მასალის გავრცელების საფუძველს წარმოადგენს, მათ შორის როგორიცაა საჯარო განხილვის გზით ან უცხოეთის სასამართლო, ან საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტაცია.

მუხლი 13. კვალიფიციური პრივილეგია

თუ არ დამტკიცდება, რომ განცხადება გაკეთდა ბოროტი განზრახვით, ცილისწამების შესახებ კანონის საფუძველზე პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებისთვის:

?) სამართლებრივი, მორალური და სოციალური მოვალეობის ან ინტერესის განხორციელებისას გაკეთებული განცხადება;

?) ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საქართველოში ნებისმიერი კანონიერი საზოგადოებრივი შეკრების თაობაზე;

?) ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ნებისმიერი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობისა და დოკუმენტაციის შესახებ;

?) ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იმ ასოციაციის დასკვნებისა თუ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების მიღებისა და კონტროლის ოფიციალური უფლებამოსილება ხელოვნების, მეცნიერების, რელიგიის, განათლების, ბიზნესის, ინდუსტრიის, ნებისმიერი პროფესიის, სპორტის, საქველმოქმედო ობიექტების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 14. პასუხისმგებლობის ფარგლები

1. ცილისწამების შესახებ კანონის საფუძველზე პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისთვის, რომლის ავტორი, რედაქტორი და გამომცემელი იგი არ ყოფილა და არ იცოდა და არც რაიმე საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ავრცელებდა ცილისმწამებლურ განცხადებას.
2. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ფუნქციაც ცალკეულ განცხადებებთან დაკავშირებით შემოიფარგლება მხოლოდ ინტერნეტთან ტექნიკური კავშირით, ინტერნეტში ინფორმაციის გადატანითა და ვებ-გვერდის ან მისი ნაწილის შევსებით, შესაბამისი განცხადებისთვის არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ცილისწამების შესახებ კანონის საფუძველზე გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცილისმწამებლური განცხადება უშუალოდ მათ მიერ იქნა გაკეთებული.
3. მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცის მტკიცებით პირის განცხადება ცილისმწამებლურია, აღნიშნული განცხადება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის გაკეთებულად არ ჩაითვლება.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება იმ სასამართლო ბრძანებასთან დაკავშირებით, რომელიც აწესებს განსაზღვრული ზომების მიღებას ცილისმწამებლური განცხადების შემდგომი პუბლიკაციის აღკვეთის მიზნით.
5. განსაზღვრულ ადგილას, მათ შორის ინტერნეტში, ვებ-გვერდების მიერ, განგრძობით საფუძველზე განცხადების გამოქვეყნება განიხილება ერთ პუბლიკაციად.

თავი 3. ზიანის ანაზღაურება

მუხლი 15. ანაზღაურების მიზანი

1. ზიანის ანაზღაურების ნებისმიერი ფორმის გამოყენებას საფუძვლად უნდა დაედოს მოსარჩელის რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცის პრინციპი.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის ეფექტური განხორციელების მიზნით სასამართლო ანაზღაურების ფორმის შერჩევისას ვალდებულია, სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღოს ნებაყოფლობითი თუ თვითრეგულირების მექანიზმების ის ზომები, რომლებიც მოსარჩელის რეპუტაციისთვის ცილისწამებით მიყენებული ზიანის შემსუბუქებისა თუ ანაზღაურების მიზნით იქნა გამოყენებული.
3. ანაზღაურების ფორმის განსაზღვრისას სასამართლოსთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს კომპენსაციის არამატერიალური ფორმების გამოყენება, როგორიცაა შესწორებული განცხადების გამოქვეყნება თუ შეცდომის საჯარო აღიარება იქ, სადაც ანაზღაურების აღნიშნული ფორმები შეამსუბუქებს მოსარჩელის რეპუტაციისთვის მიყენებულ ზიანს.

მუხლი 16. ნებაყოფლობითი ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულება

1. არავის აქვს უფლება, ცილისწამებისთვის მიმართოს სასამართლოს, თუკი მანამდე მოპასუხისგან არ მოითხოვა გამოქვეყნებული განცხადების შესწორება, შეცდომის საჯარო აღიარება, ბოდიშის საჯარო მოხდა ან ანაზღაურების სხვა მსგავსი ფორმა და თუ ასევე გონივრული ვადა არ განუსაზღვრა აღნიშნული ზომების მისაღებად.
2. ზიანის ანაზღაურების ფორმის შერჩევისას სასამართლო ვალდებულია, სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა და პასუხი აღნიშნულ მოთხოვნაზე.

მუხლი 17. ფულადი კომპენსაცია

1. ცილისწამებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგისა თუ მატერიალური ზიანისთვის კომპენსაცია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა აღნიშნული ზიანისა თუ დანაკარგის არსებობა ნათლად დასტურდება.
2. კომპენსაციის ოდენობა არამატერიალური ზიანისთვის ან ზიანისთვის, რომლის აღეკვატური ფულადი ოდენობის დადგენა შეუძლებელია, არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ მაქსიმუმს – ყოველთვიური ანაზღაურების ასმაგ ოდენობას. ამ მაქსიმუმის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.
3. კომპენსაცია, რომელიც სცილდება რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის ფარგლებს, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუკი დადასტურდება, რომ მოპასუხეს გაცნობიერებული ჰქონდა განცხადების მცდარი ხასიათი და შეგნებულად მოქმედებდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების მიზნით.
4. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს როგორც ანაზღაურების ყველა ნებაყოფლობითი თუ არამატერიალური ფორმა, ისე ის უარყოფითი ეფექტი, რაც კომპენსაციის გადახდამ პოტენციურად შეიძლება მოახდინოს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე.

მუხლი 18. სასამართლო აკრძალვა

1. დაუშვებელია სასამართლოს ბრძანებით პუბლიკაციის წინასწარი აკრძალვა გამოქვეყნებამდე იმ მოტივით, რომ სავარაუდოდ იგი ცილისმწამებლური შინაარსისაა.
2. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი განსაკუთრებული გარემოებები, სასამართლო უფლებამოსილია დროებით, საქმის მთლიან მოსმენამდე, აკრძალოს განცხადების შემდგომი პუბლიკაცია:

   ?) თუ მოსარჩელე შეძლებს დაამტკიცოს, რომ პუბლიკაციის შემდგომი გაგრძელება აუნაზღაურებად ზიანს მიაყენებს მის რეპუტაციას.

   ?) თუ მოსარჩელე შეძლებს აჩვენოს პროცესზე წარმატების მიღწევის მაღალი ალბათობა, კერძოდ, შეძლებს დაამტკიცოს, რომ განცხადება უპირობოდ ცილისმწამებლურია, ხოლო დაცვის მხარის არგუმენტები – აშკარად დაუსაბუთებელი.
3. სასამართლო ბრძანებით პუბლიკაციის სამუდამო აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ საქმის სრული და სამართლიანი განხილვის შემდეგ. პუბლიკაციის სამუდამო აკრძალვა უნდა შეიზღუდოს და შემოიფარგლოს მხოლოდ განსაზღვრული ტიპის განცხადებებით, რომლებიც ცილისმწამებლურადაა ცნობილი და ხალხის გარკვეული კატეგორიით, რომელთაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა აღნიშნული განცხადებების გამოქვეყნებისთვის.

მუხლი 19. გარიგება

1. პირს, რომელმაც გამოაქვეყნა ცილისმწამებლური განცხადება, შეუძლია შესთავაზოს ცილისწამების ობიექტს გარიგება განსაზღვრული პირობებით, მათ შორის:

   ?) შეასწოროს განცხადება ან/და მოიხადოს ბოდიში;

   ?) გამოაქვეყნოს შესწორება ან/და მოიხადოს ბოდიში;

   ?) გადაიხადოს შეთანხმებული კომპენსაცია;
2. აღნიშნული გარიგება უნდა გაფორმდეს წერილობით, მიეთითოს კონკრეტული ცილისმწამებლური განცხადება, რომელსაც იგი უკავშირდება. ასევე აღინიშნოს, რომ იგი წარმოადგენს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ გარიგებას.
3. შეთავაზებული გარიგების მიღების შემთხვევაში მისი მიმღები მხარე კარგავს უფლებას, მიმართოს სასამართლოს, რათა ინიცირება გაუკეთოს პროცესს იმ ცილისმწამებლური განცხადების თაობაზე, რაც გარიგებითაა გათვალისწინებული. სამაგიეროდ მას უფლება ენიჭება, აიძულოს მეორე მხარე, შეასრულოს გარიგების პირობები, კერძოდ:

?) თუკი მხარეები ვერ შეთანხმდებიან განცხადების შესწორებაზე, ბოდიშის მოხდაზე ან კომპენსაციის მოცულობაზე, უთანხმოება სასამართლოს გზით გადაწყდება.

?) თუკი ერთი მხარე ვერ შეძლებს გარიგების პირობების შესრულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასამართლო ბრძანების გაცემა გარიგებით გათვალიწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

5. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად შეთავაზებული გარიგების მიუღებლობა წარმოადგენს სასამართლო პროცესზე მოპასუხის გამართლების საფუძველს გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხისთვის ცნობილი იყო ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ განცხადება ცილისმწამებლური იყო.
6. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გარიგების შეთავაზება სასამართლოს მიერ ზიანის შემსუბუქების მცდელობად ჩაითვლება მიუხედავად იმისა, დაცვის მხარე გამოიყენებს ამას მტკიცებულებად თუ არა.

თავი 4. დასკვნითი დებულებები

მუხლი 20. კანონის ძალაში შესვლა

ეს კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 21. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი.
2. ამ კანონის ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18(6) მუხლი.